

## 2022-2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით ჩემო თანასოფლელებო და მოწვეულო სტუმრებო. იმათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა, ვინც ესწრებოდით 2022 წლის ოქტომბრის თვეში ჩემს მიერ ანგარიშის ჩაბარებას და კიდევ მინდა მივმართო ყველას, ვინც აქ ბრძანდებით, რომ მე ვალდებული ვარ, როგორც თქვენ მიერ არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ხოსიტაშვილი, ყოველ წლის ბოლოს ანგარიში ჩაგვბაროთ მიმდინარე პროცესებზე, ეს იქნება ინფრასტრუქტურული თუ სხვა აქტივობები.

მინდა მოგახსენოთ 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაკეთებული და შესრულებული, ასევე მიმდინარე პროექტებისა თუ სხვადასხვა საქმიანობის შესახებ.

2022 წელს თქვენთან შეხვედრისას განსაკუთრებით პრიორიტეტულ საკითხებად გამოიკვეთა სოფლის ცენტრალური და შემდგომ შიდა გზების რეაბილიტაცია, ასევე განათების, წყლის მიმართულებით ნაგვის ურნების დამატება და სხვა. ამ პრობლემების მოგვარებისათვის მინდა მოგახსენიოთ, რომ 2023 წლის დასაწყისშივე სიღნაღის მუნიციპალტეტის მერის ბატონ მალხაზ ბეგიაშვილის თაოსნობით, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ დავით ჯანიკაშვილის ჩართულობით და ერთად დგომით დაიგეგმა და განვახორციელეთ შემდეგი აქტივობები.

მერიამ შეისყიდა და შემოიტანა ნაგვის ურნები, თითქმის ყველა ცენტრალურ და შიდა გზებზე დავამატეთ ურნები, რის შემდეგაც სოფლის მთელს ტერიტორიაზე საგრძნობლად -რა თქმა უნდა დადებითად შეიცვალა სისუფთავის მდგომარეობა.

ასევე მინდა ავღნიშნო მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტის გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. რეაბილიტირდა და სრულად განახლდა ე.წ „ფათალიანთ“ უბნის ცენტრალური გზა თავისი მიმდებარე შესახვევებითა და ჩიხებით. ეს პროექტი დასრულების ფაზაშია, იგი იყო გარდამავალი, მაგრამ სწორად დაგეგმილი მუშაობის შედეგად დასრულდება 2023 წელში. მისი ღირებულება შეადგენს 1 419 757 ლარს.

მინდა კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტის „წყალი ყველა სოფელში“ განხორციელებასთან დაკავშირებით მოგახსენოთ. პროექტი, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, საპილოტედ სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში განხორციელდა. მისი მიმინარეობისას გვექონდა მთელი რიგი პრობლემები, გვიჭირდა მისი განხორციელება სხვადასხვა გარემოებების გამო, მაგრამ ამ პროექტმა ისეთი დიდი შედეგი უნდა გვაჩვენოს, ამაზე საუბარი ნამდვილად აღარ ღირს. აიგო და დასრულდა ორი სათაო- ნაგებობა წყლის რეზერვუარები, მოწესრიგდა წყლის

ბურღების მდგომარეობა, წყალი გავუშვით საცდელად რიგ უბნებში, ასევე მინდა დავძინო, რომ ამ პროექტის დასრულების შემდეგ არ დარჩება არცერთი ოჯახი წყლის გარეშე.

მინდა შევეხო პროექტის, რომელიც ხორციელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“. ჩვენს სოფელში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, მათი მოთხოვნით როგორც წინა საარჩევნო წელს, ამ წელშიც იყო მოთხოვნილი სოფლის განათება, რომელიც წარმატებით ხორციელდება. რა თქმა უნდა სოფლის მოსახლეობიდან შემოდის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დარჩენილ ქუჩებზეც განხორციელდეს განათება. ვცდილობთ მეც და მერის წარმომადგენელი ვახტანგოზალიშვილიც შეძლებისდაგვარად დავუდგეთ ჩვენი სოფლის მოსახლეობას გვერდში, რათა უფრო მეტი სასიკეთო საქმე გავაკეთოთ.

მინდა გითხრათ, რომ ასევე ჩართული ვარ და მაქვს კომუნიკაცია ჩვენი სკოლის მიმდინარე აქტივობებში. შეხვედრებს ვმართავ როგორც დირექტორთან, ასევე პედაგოგებთან, ვესწრები მოსწავლეების დაგეგმილ ღონისძიებებს. ასევე ვხვდები #9 და #10 საბავშვო ბაღის როგორც აღმზრდელებს, ასევე აღსაზრდელებს. აქაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას მათ პრობლემატური საკითხების მოგვარებაში.

ჩვენს სოფელში ვმუშაობთ გენდერული კუთხით. კომუნიკაცია მაქვს ასევე ბატონ გია პავლიაშვილთან, ასევე გია ქავთარაძესთან. ერთად გავდივართ პრობლემურ საკითხებს და შეთანხმებით ვიღებთ გადაწყვეტილებებს.

ყველა აქ მყოფმა, კარგად იცით ეს წელი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ღვარცოფებითა და კატაკლიზმებით. ბევრი ტრაგედიაც დატრიალდა, როს გამოც მინდა სამძიმარი გამოვთქვა და კიდევ ერთხელ მოვიხსენიოთ და სამძიმარი ვუთხრათ გარდაცვლილთა ოჯახებს. რა თქმა უნდა ზარალი დიდია და შეუფასებელი, მაგრამ ჩვენი მთავრობის და ჩვენი მუნიციპალიტეტის თანადგომით ერთად დავძლევთ ამ პრობლემებს. ამ ღვარცოფმა და სეტყვამ ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ჩვენს სოფელს დიდი ზიანი მიაყენა. კერძოდ, დაზიანდა სახლის სახურავები, ასევე დაისეტყვა ვენახები და ბაღები. რა თქმა უნდა უყურადღებოდ არ დარჩება ეს საკითხიც, შეძლებისდაგვარად ეს პრობლემაც მოგვარდება.

აუცილებლად უნდა შევეხო სოციალურად დაუცველთა რიგ პრობლემებს. მათთან ყოველთვის მაქვს კომუნიკაცია და ვეხმარები როგორც სოციალურად გაჭირვებულებს, ასევე მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა დედებს. მოგახსენებთ, რომ 2022 წელს „სოციალურად გაჭირვებულთა დასაქმების პროგრამით“ ისარგებლა 14 ადამიანი. 2023 წელს გავზარდეთ დასაქმებულთა რაოდენობა და ეხლა ამ პროგრამით უკვე სარგებლობს 18 ადამიანი, რომელთა სოციალური პირობები და მდგომარეობა რათქმაუნდა სასიკეთოდ შეიცვალა და გაუმჯობესდა.

დახმარებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 2022 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ჩვენ დავეხმარეთ განცხადებით შემოსულ 32 ადამიანს, რამაც შეადგენა ფინანსური დახმარების ნაწილში 18 705 ლარი, ხოლო 2023 წელში განცხადებით მოგვმართა 147 ადამიანი, რომელთა მთლიანმა დახმარებამ ფინანსურად შეადგინა 47 553 ლარი.

გარდა აღნიშნულისა, მე როგორც საკრებულოს დეპუტატი, არჩეული ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიისა და ასევე საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრად. საანგარიშო წელში დავესწარი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 10 სხდომას და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 6 სხდომას. ვმონაწილეობ და აქტიურად ვარ ჩაბმული ასევე საკრებულოს მუშაობაში, ვარ დასწრებული საკრებულოს 14 სხდომიდან - 13 სხდდომას, სადაც გადაწყვეტილებას ვიღებთ თქვენი ჩართულობით.

ამით მინდა დავასრულო ჩემი გამოსვლა და დიდ მადლობას გიხდით მობრძანებისათვის.

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი:**

**გოჩა ხოსიტაშვილი**